პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2023 წლის ---- ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე ლ. ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

45-21-2-202307121603

N 45/21

12/07/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" 2023 წლის პირველი და მეორე კვარტალის ანგარიშს.
დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,
რევაზ მესხი

მმართველი

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს 2023 წლის I და II კვარტლის ანგარიში

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა" 2023 წელს მიზნობრივად დაიწყო მასზედ დაკისრებული ფუნქციის შესრულება. ამისათვის კოორდინირებულად მუშაობენ კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის: 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი, 10 სასოფლო კლუბი, 3 მუზეუმი, ფოლკლორული ანსამბლი ,,ნადური", ქორეოგრაფიული ანსამბლი, სახალხო დრამატული და თოჯინების თეატრი.

კულტურის ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი წარმოადგენს. დამატებით ვიყენებთ საკონცერტო დარბაზის გაქირავებით, მუზეუმში რეალიზებული ბილეთების ამონაგებითა და ფასიანი წრეებით მიღებულ შემოსავლებს.

საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ გააგრძელა დაწყებული ფონდების გაწმენდა, წიგნების მოდერნიზაცია- აღდგენა, ფიზიკურად დაზიანებული და შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურის გამოყოფა და სიების შედგენა.ამ მხრივ მთავარმა ბიბლიოთეკამ შრომატევადი სამუშაო გასწია. პირველი წყალტუბოს, გუბისწყლისა და პატრიკეთის სასოფლო ბიბლიოთეკებში. ტყაჩირისა და ოფშკვითის ბიბლიოთეკებში დაიწყო და ივლისის ბოლომდე გაგრძელდება ახალი საკატალოგო აღწერილობები და სათანადო ბარათებზე გადატანა 8 ათას წიგნად ერთეულზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას. მარტის თვეში თითქმის ყველა ბიბლიოთეკამ აღნიშნა დედის დღესასწაული. იმავე თვეში მოეწყო გასვლითი ღონისძიება გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. განსაკუთრებულად მრავალფეროვანი ღონისძიებებით დაიტვირთა აპრილ-მაისის თვე. ტრადიციული საბიბლიოთეკო კვირეულის აღსანიშნავად ამოქმედდა წლის მნიშვნელოვანი პროექტი ,,მწერალი სოფელში". ამ პროექტის ფარგლებში სოფლებს ეწვივნენ თანამედროვე მწერლები და გაიმართა ცოცხალი ლიტერატურული ურთიერთობა მკითხველებთან.

გვიშტიბისა და გუბისწყლის ბიბლიოთეკებმა უმასპინძლეს მწერალ ცირა შალაშვილს. მაღლაკის ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტისა და ჟურნალისტის მაია კახიძის ლიტერატურული სპექტაკლი ,, ჩემის სიყვარული ძალზე ლამაზია". ფარცხანაყანევში შედგა შეხვედრა-დიალოგი მწერალსა და პროფესორ გია ხოფერიასთან. გეგუთისა და პატრიკეთის სტუმარი იყო პოეტი ნუნუ ჯანელიძე და ჟურნალ ,,იალქანის" ჟურნალისტები. ოფშკვითის ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტ ნინო ფრუიძესთან შეხვედრა. საყულიამ მიიღო პოეტი ნინო უძილაური, ოფურჩხეთის ბიბლიოთეკაში (რიონისა და ჟონეთის მკითხველების მონაწილეობით) გაიმართა შეხვედრა პოეტ ენდი ნემსიწვერიძესთან. გარდა ამისა, ნოდარ დუმბაძის საიუბილეო ლიტერატურული საღამო ჩატარდა სოფელ წყალტუბოს ბიბლიოთეკაში. ციალა ღვინიანიძის წიგნის ,, ხომული" პრეზენტაცია გაიმართა ხომულის ბიბილოთეკაში, ხოლო ლიტერატურული დიალოგი ,, წიგნი- ჩემი მეგრბარი" - ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკაში.

საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო გაერთიანება მოემსახურა 2ათასზე მეტ მკითხველს. გაცემულია 12 ათასამდე ეგზემპლიარი, ინტერნეტ მომსახურება ხორციელდება 10 ბიბლიოთეკაში.

ძიძდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების აღწერა. მუზეუმში დაცული სხვადასხვა მასალებით ისარგებლა 24 პიროვნებამ.

აღნიშნულ პერიოდში მუზეუმის თანამშრომლები მუშაობდნენ თემებზე, რომლებიც უნდა დაიბეჭდოს მუზეუმის შრომათა მე-12 კრებულში. მოეწყო 6 დროებითი გამოფენა. ღირსეულად აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე. დღის თემა გახლდათ „ მუზეუმები - მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა". ამასთან დაკავშირებით მოეწყო ღია კარის დღე; წყალტუბელი ხელოვანის მერაბ ლომინაძის გამოფენა; გამოიცა მუზეუმის ახალი, მე-11 შრომათა კრებული და წყალტუბოს წარსულსა და თანამედროვეობაზე შექმნილი ფოტო ალბომის პრეზენტაცია. მუზეუმელთა დღის აღსანიშნავად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა მუზეუმის თანამშრომლებს მადლობის სიგელები გადასცა.

მუზეუმში ჩატარდა 3 ღია გაკვეთილი. 9 ივნისს „ცნობილი ადამიანების ისტორიის შესწავლა" პროექტის ფარგლებში მუზეუმს ეწვივნენ ქ. ქუთაისის ოცხელის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

საანგარიშო პერიოდში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაათვალიერა 580 ვიზიტორმა. ჩატარდა 82 ექსკურია-ლექცია. ყველაზე მეტი, 1247 დამთვალიერებელი ჰყავდა ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმს. მთლიანი საექსკურსიო შემონატანი შეადგენს 3176 ლარს.

სამუზეუმო გაერთიანებაში კულტურის ცენტრის მიერ დაფინანსებულია 4 ღონისძიება. მათ შორის: მუზეუმის მე-11 შრომათა კრებულის გამოცემა - 1500 ლარი, მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნა - 500 ლარი, საველე გასვლები სოფლებში - 600 ლარი.

აპრილ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენრტმა" საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთა სხვა და სხვა ღონისძიებებსაც. მათ შორის: 9 აპრილისა და 9 მაისის აღსანიშნავად, პატივი მიეგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ფაშიზმთან ბრძოლის დღის დაღუპულთა ხსოვნას. 16 მაისს სოფელ გეგუთში, თამარ მეფის ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე გაიმართა სახალხო დღესასწაული „თამაროობა". 26 მაისს საკონცერტო დარბაზში გაიმართა პრემიერა. სახალხო თეატრმა წარმოადგინა დრამატული სპექტაკლი „ სამანიშვილის დედინაცვალი".

თოჯინების თეატრმა განაახლა გასვლითი სპექტაკლების ტრადიცია და 23 ივნისს თოჯინების სპექტაკლით ეწვია ოფშკვითის სასოფლო კლუბს .

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს სახალხო თეატრის დრამატული და თოჯინური დასი წარმატებით მონაწილეობდა თეატრალურ ფესტივალებში. იმერეთის თეატრალურ ფესტივალს თეატრმა წარუდგინა ახალი სპექტაკლი „ სამანიშვილის დედინაცვალი",რომლითაც რამდენიმე ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება. ასევე ოცდასამე ნომინაციაში დაჯილდოვდა თეატრის თოჯინური დასი 25-30 ივნისს ქალაქ ბათუმში გამართულ თოჯინების თეატრალურ ფესტივალში.

ფოლკლორული ანსამბლი „ნადური" დაქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის შექმნა ამ წლის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად მიგვაჩნია, ინტენსიურად მუშაობენ რეპერტუარის დახვეწასა და ახალი საკონცერტო პროგრამის შესადგენად, რომლითაც ისინი წარდგებიან „შემოდგომის წყალტუბოს" დღესასწაულზე.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენრტი"-ს ბიუჯეტის ხარჯები 2023 წლის I და II მეორე კვარტალში გეგმით განსაზღვრულია 630834,0 ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 516227,39 ლარი, მათ შორის სუბსიდია გეგმა 617123,0 ლარი, ხარჯი 511546,4 ლარი, საკუთარი სახსრების შემოსავალმა შეადგინა16671 ლარი, ხოლო ხარჯმა - 5628,0 ლარს.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი" მომავლაშიც გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას და წინასწარ შედგენილი გეგმის სრულფასოვნად შესრულებას.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
კულტურის ცენტრის" მმართველი ლევაზ მესხი